მოსწავლეების სიტყვები :

„ყოველთვის ცდილობს, ბავშვებს გაუგოს და მათი აზრი გაიზიაროს, ძალიან მეგობრულია რაც აადვილებს კომუნიკაციას“ - **საბა შალვაშვილი XI-ა კლასი**

„გარდა მასწავლებლისა არის ჩვენი მეგობარი, ვგრძნობ და ვახედავ, რომ ჩვენი აზრი მისთვის პრიორიტეტულია. ჩვენი დამცავი ფარია და ძალიან, ძალიან ვაფასებ ამას, არსად მეგულება ასეთი მასწავლებელი, რომელიც ბავშვების მეგობარია “- **მარიამ კოსმან XI-ა**

„ჩემთვის ქ. მიმოზა გამოირჩევა იმით, რომ ყველა მოსწავლეს გვერდით უდგას, ყოველთვის ცდილობს მოსწავლეების ინტერესების დაცვას და მათთვის მოტივაციის ამაღლებას“ - **თამარ კაპანაძე XI-ა კლასი**

„იმის მიუხედავად, რომ ქალბატონი მიმოზა მასწავლებელია, ცდილობს პირველ რიგში დედა იყოს და ეს თვისება ეხმარება ბავშვებთან კომუნიკაციაში. პირველ რიგში, ადამიანი ხარ და მერე შენი პროფესიის წარმომადგენელი“ **- რეზო ღვანიძე XI-ა კლასი**

„ ჩემი აზრით, ყველაზე დიდი ფაქტორი, რაც გამორჩეულს და განსხვავებულს ხდის მიმოზა მასწავლებელს, მოსწავლეებთან მეგობრობაა... თუ რაიმე საკითხია მოსაგვარებელი, აინტერესებს ჩვენი მოსსაზრებებიც და აუცილებლად ითვალისწინებს. მასში მომწონს ის ფაქტიც, რომ ყოველთვის ცდილობს მოსწავლეს გაუგოს და მეგობრულად მიუდგეს, რაც დასაფასებელია. მე პირადად მომეცა მასტან მუშაობის საშუალება და პროცესი საკმაოდ მარტივი იყო, რადგან პირდაპიირი კომუნიკაცაია მოსწავლესთან მნიშვნელოვანია, როცა აგრძნობინებ, რომ მის გვერდით ხარ“ - **მარიამ ისიანი XI-ა კლასი**

„ვფიქრობ, ქალბატონ მიმოზას მთელი სკოლა პატივს ვცემთ, რადგან მასთან წარმოუდგენლად მარტივია კომუნიკაცია, ყოველთვის ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის, როდესაც გვჭირდება მისი გვერდში დგომა. ის ყველაფერს აკეთებს სკოლის კეთილდღეობისთვის და რაც ყველაზე მთავარია გველაპარაკება , როგორც მეგობარი. ქ. მიმოზა ყოველთვის ქმნის ძალიან კომფორტულ და თბილ გარემოს, რაც ნამდვილად გამოარჩევს და ძალიან დასაფასებელს ხდის“ - **ნინი ლორთქიფანიძე XI-ა კლასი**

„ ალაბათობა იმისა, რომ თქვენ შეგხვდებოდიტ ძალიან დაბალი იყო P= 1/ 4002323752, (მნიშვნელში მოცემული რიცხვი დედამიწაზე ქალების რაოდენობაა) ..... როგორც პიროვნების გაცნობაც დაახლოებიტ ასეთი იქნებოდა, მაგრამ ცალკეა იმის ალბათობა თქვენი მოსწავლე ვიქნებოდი თუ არა. ერთი სიტყვით რისი თქმაც მინდა, ვამაყობ და მადლობელი ვარ იმით, რომ ჩემი მასწავლებელი ხართ..... ძალიან ბევრი რამით განსხვავდებით სახვა მასწავლებლებისგან. იცით რატომ არიან მოსწავლეები თქვენს გაკვეთილზე ყურადღებით?! თქვენი ახსნის სტილი, დამოკიდებულება... ყველაფერი განსაკუთრებულია. მადლობა თითოეული გაკვეთილისთვის, თუ წამისთვის რომელიც დაგვითმეთ“ - **ელენე ჩინჩალაძე IX -ბ კლასის მოსწავლე**

„მიმართვა და მხარდაჭერა:ბევრი მოსწავლე აფასებს მასწავლებლებს, რომლებიც ყურადღებას აქცევენ მათ საჭიროებებს და ეხმარებიან რთულ საკითხებში გაგებაში. თქვენ ძალიან გვეხმარებოდით რომ თემა სწორად გაგვაზრებინა და ამასთან ერთად მაღალი ნიშანი მიგვეღო. ასევე ყველას ნათქვამს აფასებდით და მხარს უჭერდით, და თან ცდილობდით ყველა ბავშვი აქტიურად ყოფილიყო

გაკვეთილის პროცესშე ასევე როდესაც დარწმუნებულები არ ვიყავით ჩვენ პასუხში მანიც ვიძახდით რადგან ერთად გვეზროვნა და თუ არასწორი იყო ჩვენივე ამოხსნით მივსულიყავით სწორ პასუხამდე და ჩემი აზრით ბევრისთვის საყვარელი ნაწილი რატომ არ გვაქვს საშინაო დავალება არის მომენტები როდესაც რამიმე მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ დავალებების შესრულებას და თქვენ არასოდეს არ გქონიათ მწვავე რეაქცია ამასთან დაკავშირებით. ასევე გაკვეთილის პროცესი, ჩემთვის ძალიან სახალისო იყო თქვენ გაკვეთილის სტილი ვიყენებდით ჯგუფურ სამუშაოებს, როდესაც გეომეტრიაზე გადავედით თქვენ მოიტანეთ ფიგურები რადგან თვალისთვი და ასევე ჩვენთვის ყოფილიყო მარტივი და ამასთან ერთად ჩვენითაც გავაკეთეთ სივრცული ფიგურები რადგან კარგად დაგვემუშავებინა. თქვენი გაკვეთილებით ძალიან დიდი გამოცდილება დავაგროვე რისთვისაც ძალიან დიდი მადლობა“ მიმოზა მას როდესაც ამას ვწერდი ყველაფერი გამახსენდა თითქოს ისევ გაკვეთილზე ვიჯექი ძალიან მენატრებით და მიყვარხართ“ და რატომ შემიყვარდიდ ესე ძალიან თქვენი გამორჩეული ყურადღებით, სითბოთი , ურთიერთობით, გვერდში დგომით და ასევე ჩვენთან ისე მეგობრულად იყავეთ ნებისმიერ თემაზე გვესაუბრა,ყოველთვის ჩემი იმედი იყავით,მიყვარხართ მაასს“ - **ირაკლი ჯაბანაშვილი 89-ე საჯარო სკოლის მოსწავლე -ამჟამად ემიგრანტი კანადაში**

როგორც თქვენმა მოსწავლემ მადლობა მინდა გადაგიხადოთ ესეთი საინტერესო სასწავლო წლისთვის, ჩვენში ჩადებული შრომისთვის, მხარდაჭერისთვის და ყველაფრისთვის❤ მოსწავლეებს არ სჭირდებათ დიდი სტატუსის მქონე მასწავლებლები« არამედ ისეთი მასწავლებლები სჭირდებათ რომელთა გამოც სკოლაში სიარული გაუხარდებათ❤ მადლობა რომ ეს მიზეზი ხართ□ბედნიერ დასვენებას გისურვებთ იმის მიუხედავად რომ ვიცი ჯერ კიდევ მუშაობთ. ❤ მიყვარხართ ძალიან ძალიან❤ ❤ ❤

ელენე ჩინჩალაძე IX -ბ კლასის მოსწავლე

მიმოზა მასწავლებელთან მარტივია კომუნიკაცია, ყოველთვის შეუძლია მოსწავლეების გვერდში დგომა. გველაპარაკება, როგორც მეგობარი. ყოველთვის ქმნის ძალიან თბილ და კომორტულ გარემოს, რაც ნამდვილად გამოარჩევს და ძალიან დასაფასებელს ხდის.

ნინი კამლაძე IX -ბ კლასის მოსწავლე